

მშობელთან ურთიერთობის თავისებურებები და მოზარდის პრობლემური ქცევა

თინათინ ბანძელაძე,¹ სალომე საფარიძე²

აბსტრაქტი

მოზარდობის პერიოდში მშობელსა და შვილს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის პატერნი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრობლემური ქცევის განვითარების ან პრევენციის პროცესში. მოცემული კვლევა მიზნად ისახავს პოზიტიური მშობლობის ორი ასპექტის – უპირობო მიმღებლობისა და პოზიტიური დისციპლინის – კავშირების შესწავლას მოზარდების პრობლემურ ქცევებთან. კვლევისთვის გამოვიყენეთ თვისებრივი მეთოდი – სიღრმისეული ინტერვიუ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სულ 20-მა რესპონდენტმა: ათმა მოზარდმა (12–17 წლის ასაკში) და მათმა მშობლებმა. ინტერვიუ მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა მშობელსა და შვილს შორის დამკვიდრებული ურთიერთობის პატერნები, მშობლობის სტილი, აგრეთვე, მოზარდების ქცევითი სირთულეებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების აღქმა. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ მშობლების მხრიდან უპირობო მიმღებლობასა და პოზიტიური დისციპლინის გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოზარდთა ქცევით სირთულეებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიგნება, რომელიც მიუთითებს მამის მხრიდან პოზიტიური დისციპლინის, ხოლო დედის მხრიდან უპირობო მიმღებლობის როლზე მოზარდების ქცევით სირთულეებთან მიმართებით. ანალიზის შედეგები ხაზს უსვამს იმ ფსიქოსოციალურ რესურსებს, რომლებიც ხელს უწყობს მოზარდთა კეთილდღეობას და იცავს მათ სარისკო ქცევისაგან. კვლევის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები ფსიქოკონსულტირების სფეროს წარმომადგენლებისთვის როგორც მშობლებთან მუშაობის, ასევე საგანმანათლებლო და პრევენციულ პროგრამებთან მიმართებით, რომლებიც მიმართულია ახალგაზრდებში პრობლემური ქცევის შემცირებისკენ.

საკვანძო სიტყვები: მოზარდთა პრობლემური ქცევა, აღზრდის სტილი, უპირობო მიმღებლობა, პოზიტიური დისციპლინა

1. შესავალი

მოზარდობა ადამიანის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური და სენსიტიური ეტაპია, რომელიც ხასიათდება ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ცვლილებების ინტენსიური ურთიერთქმედებით. ამ ასაკში მნიშვნელოვნად იზრდება გარემოს, განსაკუთრებით კი ოჯახური კონტექსტისა და მშობლებთან ურთიერთობის გავლენა მოზარდის ქცევის ფორმირებასა და ფსიქოსოციალურ კეთილდღეობაზე.

თანამედროვე კვლევები ხაზს უსვამს იმას, რომ თბილი, თანმიმდევრული და ემპათიური ურთიერთობები ასოცირდება მოზარდების უკეთეს ემოციურ რეგულაციასთან, აგრესიის დაბალ დონესთან, სტრესთან გამკლავების ეფექტიან სტრატეგიებთან და აკადემიური თუ პირადი მიღწევის მოტივაციის ამაღლებასთან (Ary, et.al., 1999;

¹ თინათინ ბანძელაძე, ფსიქოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

² სალომე საფარიძე, ფსიქოლოგიის მაგისტრი. კავკასიის უნივერსიტეტი.

Chambers, et.al., 2001). პირიქით, მშობლებთან დისტანცირებული, არამდგრადი ან მტრული ურთიერთობები მნიშვნელოვნად ზრდის ექსტერნალიზებული (მაგ., აგრესია, ქურდობა) და ინტერნალიზებული (მაგ., შფოთვა, დეპრესია) ქცევითი სირთულეების განვითარების რისკს (Hoeve, et. Al., 2009; Hoeve, et.al., 2011).

მოზარდთა ფსიქოსოციალური განვითარების თანამედროვე თეორიული მიდგომები მშობლობის პოზიტიურ სტილს აფასებს, როგორც ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს ჯანსაღი ადაპტაციისთვის (Kaufman, et.al., 2000; Kaufman, et.al., 2020). პოზიტიური მშობლობა ეფუძნება ორ ფუნდამენტურ კომპონენტს – უპირობო მიმღებლობასა და პოზიტიური დისციპლინის პრაქტიკას. უპირობო მიმღებლობა გულისხმობს მოზარდის, როგორც დამოუკიდებელი პიროვნების, მიღებასა და სიყვარულს მისი ქცევის მიუხედავად, რაც აძლიერებს ბავშვის თვითღირებულების განცდას (Coatsworth, 2015; Milevsky, et.al., 2007; Nelsen, J., 1981). თავის მხრივ, პოზიტიური დისციპლინა ემყარება არა ავტორიტარულ კონტროლსა და დასჯას, არამედ ემპათიურ, განმარტებით მიდგომასა და საზღვრების დასახვას, რაც ხელს უწყობს მოზარდის პასუხისმგებლობის განცდისა და თვითრეგულაციის უნარის განვითარებას (Khaleque, A., 2013).

საერთაშორისო ლიტერატურაში საკითხის მრავალმხრივი განხილვის მიუხედავად, საქართველოში ამ საკითხზე ემპირიული მტკიცებულება კვლავ შეზღუდულია. არსებული მონაცემები, ძირითადად, აღზრდის ზოგად სტილზეა კონცენტრირებული და ნაკლებად იკვლევს კონკრეტული კომპონენტების, მაგალითად, დისციპლინის მეთოდებისა და მიმღებლობის ხარისხის კავშირს მოზარდის ქცევასთან. განსაკუთრებით იშვიათია დედისა და მამის როლების დიფერენცირებული ანალიზი, რაც ქმნის მნიშვნელოვან კვლევით ღირებულებას ამ სფეროში (Dreikurs, 1999).

წარმოდგენილი კვლევა, რომელიც ეფუძნება თვისებრივ მიდგომას, მიზნად ისახავს იმ სუბიექტური გამოცდილებების და აღქმების ანალიზს, რომლებიც მოზარდებს აქვთ მშობელთან ურთიერთობის კონტექსტში – უპირობო მიმღებლობისა და პოზიტიური დისციპლინის ქრილში. კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები 12–17 წლის მოზარდებთან და მათ მშობლებთან. ინტერვიუები მოიცავდა თემებს, რომლებიც შეეხებოდა ურთიერთობების ხასიათს, დისციპლინის პრაქტიკას, მხარდაჭერის ხარისხსა და პრობლემური ქცევის გამოვლინებებს. ამ მეთოდმა საშუალება მოგვცა განგვეხილა არა მხოლოდ ქცევითი ტენდენციები, არამედ ის პერსონალური ინტერპრეტაციებიც, რომლებსაც მოზარდები აძლევენ საკუთარ გამოცდილებას მშობლებთან ურთიერთობისა და ქცევით სირთულეებთან მიმართებით.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

მოზარდების პრობლემური ქცევის კვლევა ფსიქოლოგიაში ერთ-ერთ აქტუალურ და კომპლექსურ სფეროს წარმოადგენს. პრობლემური ქცევა განიმარტება, როგორც სოციალური ან/და ლეგალური ნორმებისგან გადახრა, რომელსაც მოჰყვება სოციალური კონტროლით გათვალისწინებული რაიმე ტიპის რეაგირება, იქნება ეს სხვების მხრიდან იგნორირება, არმონივნება, გაკიცხვა, ადმინისტრაციული სასჯელი თუ, უკიდურეს შემთხვევაში, დაპატიმრება. პრობლემური ქცევა ბიოფსიქოსოციალური განვითარების სფეროში არსებული დამცავი და რისკფაქტორების რთული ურთი-

ერთქმედების შედეგია. მისი გავრცელებული ფორმებია აგრესია, ქურდობა, ნივთიერებების მოხმარება, თვითდაზიანება, სახლიდან გაქცევა და სხვა (Jessor, 1991).

მოზარდობის პერიოდი განსაკუთრებით მგრძნობიარეა პრობლემური ქცევის განვითარების თვალსაზრისით, რაც დაკავშირებულია ამ ასაკისთვის დამახასიათებელ ბიოფსიქოსოციალურ ტრანსფორმაციასთან, რომელიც მოიცავს ჰორმონულ ცვლილებებს, ემოციური არასტაბილურობის ზრდას, იმპულსურობასა და იდენტობის ძიებას (Berger, 2018, Gagoshidze, 2021). დასაშვებია, რომ რისკის ქვეშ მყოფი მოზარდების – მაგალითად, იმ ბენეფიციარების, რომლებიც სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში არიან გადამისამართებულნი – საჭიროებები და თავისებურებები არსებითად განსხვავდება ზოგადი პოპულაციის მოზარდებისგან. აღნიშნული მოზარდები ხშირად განიცდიან მრავალფეროვან სტრესორებს, მათ შორის სიღარიბეს, ოჯახურ ძალადობასა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეებს, რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მათი ქცევისა და აღქმების ინტერპრეტაციის პროცესში. სწორედ, ამ მაღალი რისკის ჯგუფის სუბიექტური გამოცდილებები წარმოადგენს მიმდინარე კვლევის ანალიზის მთავარ საგანს (Center for Referral of Juveniles, 2024).

მოზარდთა პრობლემური ქცევის კონტექსტის შესწავლისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მშობლებთან ურთიერთობის ფორმა და ხარისხი, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზარდის განვითარებაზე. მოზარდები ერთდროულად ცდილობენ მშობლებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას და ემოციური მხარდაჭერის შენარჩუნებას. მშობლებთან არსებული კავშირი განაპირობებს მოზარდის თვითშეფასებას, თვითრეგულაციას და სოციალური ქცევის ნორმების ჩამოყალიბებას (Gorrese & Ruggieri, 2012).

დიანა ბაუმრიდის აღზრდის სტილის თეორია წარმოადგენს კლასიკურ მოდელს, რომლის მიხედვითაც, აღზრდის სხვადასხვა სტილი უშუალოდ განსაზღვრავს მოზარდის ქცევასა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. თეორია მშობელთა ქცევის კლასიფიკაციისთვის ორ მთავარ განზომილებას იყენებს: კონტროლის ხარისხსა და სითბოს გამოხატვას (Baumrind, 1967; Baumrind, 1991). ამ განზომილებების კომბინაციის საფუძველზე მოდელი აღწერს ოთხ ძირითად სტილს: ავტორიტარულს, ავტორიტეტულს, ინდიფერენტულს და ლიბერალურს (Baumrind, 1991). კვლევები მიუთითებს, რომ ავტორიტეტული სტილი, რომელიც სითბოს მაღალ დონესა და ზომიერი კონტროლის კომბინაციას მოიცავს, ხელს უწყობს მოზარდის დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის განცდის განვითარებას (Baumrind, 1991; Steinberg, 2001). ინდიფერენტული და ავტორიტარული სტილები კი ხშირად ასოცირდება ქცევით პრობლემებთან და ფსიქოლოგიურ დისბალანსთან (Maccoby & Martin, 1983). მიუხედავად იმისა, რომ თითოეული სტილი განსხვავებულად ხასიათდება, ყველა მათგანს ერთობლივად შეუძლია განსაზღვროს, თუ როგორ უკავშირდება მშობლის ქცევა მოზარდის სოციალური და ფსიქოლოგიური ადაპტაციის ხარისხს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ აღზრდის ერთ-ერთ ყველაზე პრაქტიკულ და ხშირად გამოყენებად ასპექტზე – დისციპლინაზე, რომელიც შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური,

ისე ნეგატიური და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზარდის ქცევაზე და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

დისციპლინა წარმოადგენს აღზრდის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც ემსახურება მოზარდის ქცევის ფორმირებას. პოზიტიური დისციპლინა ეფუძნება წესების განმარტებას, თანაგრძნობას და მოზარდის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Gershoff, 2002). ნეგატიური დისციპლინა, რომელიც ხშირად უკავშირდება დასჯას, მუქარასა და კონტროლს, ზრდის წინააღმდეგობას, აგრესიასა და უნდობლობას როგორც ოჯახურ, ისე სასკოლო გარემოში (Gershoff & Grogan-Kaylor, 2016). თანამედროვე კვლევები ადასტურებს, რომ პოზიტიური დისციპლინა უფრო ეფექტურია მოზარდების პოზიტიური ქცევის ნახალისებისა და პრობლემური ქცევის შემცირების კუთხით (Kazdin, 2005). შესაბამისად, აუცილებელია გავიაზროთ, როგორ აღიქვამენ მოზარდები მშობლისგან მიღებული დისციპლინის სხვადასხვა ფორმას, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, სადაც მნიშვნელოვანი ფაქტორია მშობლის მიერ გამოხატული უპირობო ან პირობითი მიმღებლობა, რაც მოიცავს მშობლის დამოკიდებულების ხარისხსა და ემოციური მხარდაჭერის გამოვლენას.

მშობლის მიერ ბავშვის პიროვნების მიმღებლობის ფორმა განსხვავებულად ზემოქმედებს მის ფსიქიკურ განვითარებასა და ქცევის ფორმირებაზე. უპირობო მიმღებლობა გულისხმობს ბავშვის პიროვნების სრულ აღქმასა და სიყვარულს, განურჩევლად მისი ქცევის შედეგებისა (Rogers, 1961; Rohner, 2004). ეს მიდგომა ხელს უწყობს მოზარდის თვითშეფასების, უსაფრთხოების განცდისა და ემოციური კეთილდღეობის განვითარებას (Rohner, 2004). პირობითი მიმღებლობა კი აყალიბებს მოზარდის წარმოდგენას იმის შესახებ, რომ მისი ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქცევა და რამდენად აკმაყოფილებს სხვების მოლოდინებს (Rohner, 2004). ამგვარი დამოკიდებულება ხშირად ასოცირდება შფოთვისთან, დეპრესიასთან და ექსტერნალიზებული ქცევითი სირთულეების განვითარების რისკთან (Barber et al., 2010).

ლიტერატურის მიმოხილვაში წარმოდგენილი თეორიული და ემპირიული ხედვები მიმოიხილავს მშობლის აღზრდის სტილს, დისციპლინურ მიდგომებსა და მოზარდების ქცევით და ემოციურ განვითარებას შორის კავშირს. ბაუმრიდის აღზრდის სტილის თეორია და მასთან დაკავშირებული კვლევები მიუთითებს, რომ მშობლის დამოკიდებულება და დისციპლინის ფორმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზარდის სოციალური ადაპტაციის ხარისხსა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე. განსაკუთრებით ხაზგასმულია პოზიტიური დისციპლინისა და უპირობო მიმღებლობის როლი მოზარდის თვითშეფასების, დამოუკიდებლობისა და ქცევითი პრობლემების პრევენციაში, მაშინ როცა ნეგატიური დისციპლინა და პირობითი მიმღებლობა დაკავშირებულია ფსიქოსოციალური განვითარების როგორც შინაგან, ასევე გარეგნულ სირთულეებთან. თეორიული ჩარჩო და ემპირიული კვლევები აყალიბებს მოცემული კვლევის მიზანს, რომელიც ორიენტირებულია შეისწავლოს, როგორ აღიქვამენ მოზარდები მშობლის აღზრდის სტილს და დისციპლინურ მიდგომებს და რა გავლენას ახდენს ეს მათ ქცევაზე და ემოციურ რეაქციებზე; ასევე, გამოავლინოს აღზრდის ის პრაქტიკები, რომლებიც ამცირებს პრობლემური ქცევის გამოვლენის ალბათობას.

3. მეთოდი

3.1. კვლევის მონაწილეები

თვისებრივი კვლევის მონაწილეთა შერჩევა ეფუძნებოდა ორ ძირითად კრიტერიუმს: 1) ასაკი-12 დან 17 წლამდე არასრულწლოვნები და მათი მშობლები; 2) მოზარდის ქცევითი პრობლემები, რის გამოც ისინი გადამისამართდნენ სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში. კვლევის დაწყებამდე ცენტრს მიეწოდა ოფიციალური წერილი კვლევის შესახებ, და მიღებული თანხმობის საფუძველზე დაიწყო მონაცემთა შეგროვება.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 10-მა არასრულწლოვანმა (12 -17 წლის ასაკის) და მათმა მშობლებმა. არასრულწლოვანთაგან 8 იყო ბიჭი და 2 – გოგონა; მშობლების შემთხვევაში – 7 დედა და 3 მამა. თითოეული რესპონდენტისგან მიღებული იყო ზეპირი ინფორმირებული თანხმობა ინტერვიუში მონაწილეობის შესახებ. განმარტებული იყო კვლევის მიზანი, პროცედურები, კონფიდენციალურობა და მონაწილეობის ნებაყოფლობითი ხასიათი. ყველა მონაწილე წინასწარ იყო ინფორმირებული აუდიოჩანაწერის განხორციელების შესახებ. ინტერვიუები ჩატარდა 2024 წლის მაის-ივნისის პერიოდში.

3.2. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

თვისებრივი მონაცემების შესაგროვებლად გამოვიყენეთ ნახევრადსტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ. ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 45 წუთს. ინტერვიუება განხორციელდა სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრების სივრცეებში – თბილისსა და ბათუმში.

მონაცემების შეგროვების შემდეგ მომზადდა ინტერვიუების სრული ტრანსკრიპცია. შემდგომ ეტაპზე გამოვიყენეთ თვისებრივი კონტენტანალიზის მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს დიდი მოცულობის ტექსტის სტრუქტურირებულ შეჯამებას და ძირითადი შედეგების იდენტიფიცირებას.

თემატური კონტენტანალიზი განხორციელდა შემდეგი ეტაპების მიხედვით: ანალიზის შემოკლებული ერთეულების გამოყოფა – ტექსტის შემცირება ისე, რომ შენარჩუნდეს მისი არსებითი შინაარსი; კოდირება – იარლიყების შექმნა, რომლებიც აღწერენ თითოეულ შემოკლებულ ანალიზის ერთეულს; კატეგორიზაცია – კონტექსტითა და შინაარსით ერთმანეთთან დაკავშირებული კოდების დაჯგუფება. კატეგორიები უნდა პასუხობდეს შეკითხვებს: რა? სად? როდის? ვინ?; თემების ფორმულირება – კატეგორიებისგან გამომდინარე, ხდება მონაცემების ინტერპრეტაცია და კვლევის მთავარ კითხვებზე პასუხის ფორმულირება: რა? როგორ? რატომ?

4. შედეგები

მშობლებისა და მოზარდების ინტერვიუების თვისებრივი კონტენტანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე თემა, რომლებიც განხილულია შედეგების ნაწილში. ეს თემებია: მშობლების მიერ გამოყენებული აღზრდის სტილი და ურთიერთობე-

ბის დახასიათება წარსულსა და აწმყოში; მოზარდის რთული ქცევა – მისი გამომწვევი ფაქტორებისა და მართვის სტრატეგიების აღქმა მშობლების პერსპექტივიდან; თავად მოზარების დამოკიდებულება მშობლების მიერ გამოყენებულ ქცევის მართვის სტრატეგიების მიმართ და მშობლების პერსპექტივა მომავალში ურთიერთობათა ცვლილების მიმართულებით.

4.1. მშობლების აღზრდის სტილი. ურთიერთდამოკიდებულება წარსულსა და აწმყოში

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ რთული ქცევის მქონე ბავშვების ოჯახებში გავრცელებულია სამი ძირითადი აღზრდის სტილი: ავტორიტარული, ლიბერალური და ინდიფერენტული. თითოეულ მათგანს ახასიათებს განსხვავებული მიდგომა, თუმცა ყველა შემთხვევაში შეინიშნება ბავშვის ქცევისა და პიროვნულ განვითარებაზე უარყოფითი გავლენა. აღზრდის სტილი, ასევე, განსაზღვრავს მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის ხარისხს. ხშირ შემთხვევაში, ეს ურთიერთობა კონფლიქტურ და ნეგატიურ ხასიათს იძენს, რაც ამცირებს რაციონალური კომუნიკაციის შანსებს. ინტერვიუების მიხედვით, ზოგიერთ ოჯახში დედა და მამა მიმართავენ განსხვავებულ აღზრდის სტილს. ერთი მშობელი ხშირად გამოხატავს მკაცრ კონტროლს, მეორე კი შედარებით ლმობიერ დამოკიდებულებას ავლენს:

„მამაჩემი უფრო „ჩილ“ ტიპია, ყველაფერს უდგება ფილოსოფიურად. არ იყენებს რაიმეს აკრძალვას, დედაჩემი კიდე პირიქით“ (ბიჭი, 14 წლის);

„დედა, როცა ვინმე რამეს მიკრძალავს, მხარს მიჭერს. მაგალითად, თუ მამამ ჩამომართვა ტელეფონი დედა მიბრუნებს. თხოვნით ბევრი რამე ჭრის დედასთან, მარა მამასთან არა“ (ბიჭი 13 წლის);

„როცა წარსულში რამეს ვაშავებდი, დედაჩემი ყოველთვის დამისვამდა და მიხსნიდა მაგალითებით რატომ იყო რაღაცა არასწორი და როგორ იყო სწორი. მამაჩემი კიდე ეგრევე ყვირილს იწყებდა და არ ყოფნიდა ახსნის ნერვები. გამოსავალს მარტო აკრძალვებში ხედავდა, იქ არ ნახვალ აქ არ ნამოხვალ და ასე“ (ბიჭი, 14 წლის);

„მამაჩემი ყოველთვის ყველაფერს უხეშად და ცუდად გამოხატავს, უნდა რომ შიშით გამაკეთებოთ რაღაცეები, მარა ეგ მგონი უფრო ბავშვობაში ჭრიდა ახლა იმდენად აღარ. დედაჩემთან ყოველთვის უფრო ახლო ურთიერთობა მქონდა“ (ბიჭი, 12 წლის).

მშობლების განსხვავებული აღზრდის სტილი დაკავშირებულია ბავშვების განსხვავებულ დამოკიდებულებასთან მათ მიმართ. რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნები ხშირად აწყდებიან პრობლემებს სკოლაში ან სამართალდამცავებთან, თუმცა ისინი უპირატესად უზიარებენ ამ პრობლემებს იმ მშობლებს, რომლებიც ნაკლებად გამოხატავენ კრიტიკულ დამოკიდებულებას და ავლენენ მხარდაჭერას:

„თუ რამე პრობლემაა მამიკოს კი, დედიკოს არ ვუყვები. ვუყვები რის გამო დაიწყო კამათი, როგორ წავიდა ამბები და ასე. დედიკოს არ ვუყვები. მერე ძაან ბრაზდება, ყვირილს იწყებს და თან მეჩხუბება რატომ არ მითხარითოლ მერე ძირი-

თადად ვატყუებ არ მიქნია მეთქი. მამიკო ცდილობს ახსნას, რომ აი არ გამოგადგება, ვერაფერს ვერ მიაღწევ და ასე...“ (ბიჭი, 13 წლის);

„დედაჩემთან ძალიან კარგი და ახლო ურთიერთობა მაქვს, არ არსებობს მემგონი საკითხი, რომელზეც არ შემიძლია რომ არ ვესაუბრო და მისგან მხარდაჭერა არ მივიღო. ჩემი მეგობარია“ (გოგო 16 წლის);

„პრობლემის შესახებ თუ იგებს მამაჩემი ინყებს ჩხუბს, აკრძალვებს მარა უკვე მაგაზეც აღარ მაქრეაქცია და მაინც ისე ვაკეთებ როგორც მინდა. დედაჩემიც ბრაზდება მარა უმეტესად მალე ავინყდება და ცდილობს ამიხსნას რაღაცეები. ასევე უნდა, რომ მისი ხათრით გავაკეთო რაღაცეები, მაგალითად ადრე მივიდე სახლში, ვუბასუხო ტელეფონზე და ასე რა. ხანდახან ვუსრულებ თხოვნას, ხანდახან როცა გაბრაზებული ვარ არა“ (ბიჭი, 14 წლის).

ზოგიერთი რესპონდენტი პრობლემებს არცერთ მშობელს უზიარებს. ამის მიზეზები განსხვავებულია: ნაწილი ფიქრობს, რომ ეს სისუსტის გამოხატვაა, რისი კულტურივრებაც ხშირად მამების მხრიდან ხდება – „ბიჭებმა პრობლემები თავად უნდა მოაგვარონ“. სხვა მოზარდები მშობლების შესაძლო ნეგატიურ რეაქციას ან მათ ემოციურ მდგომარეობას უფრო თხილდებიან და, შესაბამისად, თავს იკავებენ გაზიარებისგან. კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვების ნაწილი მშობლების მხარდაჭერის მიმართ დაბალი მოლოდინით არის განწყობილი:

„რავი, პრობლემის შესახებ რატომ უნდა გავუზიარო ვინმეს?! არც მამაჩემს და არც დედაჩემს... ჩემით ვაგვარებ და სამომავლოდაც მოვაგვარებ“ (ბიჭი, 13 წლის);

„პრობლემის შესახებ არავის არ ვუზიარებ, ნუ ისე მაქვს ნასწავლი რო დასმენა ტეხავს, ამიტომ ჩემით ვაგვარებ პრობლემებს“ (ბიჭი, 14 წლის);

„თუ რამე პრობლემა მაქვს დედას ვუზიარებ ხოლმე, მაგრამ ალბათ გააჩნია რა პრობლემაა. ყველა სიტუაციაზე სხვადასხვა რეაქციები აქვს, ამიტომ თუ რამე ისეთი სერიოზულია არ ვყვები“ (გოგო 17 წლის);

„ძირითადად არაფერს არ ვუზიარებ, არც პრობლემას და არც რავი რამე სასიხარულოს. იმიტომ რო სულ დაღლილები არიან და ხშირად არააქვთ იმის თავი, რომ მელაპარაკონ. თურამე ვცდილობ ჩემით გავუმკლავდე, იმიტომ არა რო ტეხავს დახმარების თხოვნა, პროსტა მე ვსწავლობ გამკლავებას. ზედმეტი გახსნილობა ვფიქრობ ცუდია“ (ბიჭი 14 წლის);

„ერთხელ სკოლის კედლების მოხატვა დამაბრალეს, მერე გაირკვა, რომ სხვამ გააკეთა. მარა მანამდე დედაჩემმა მე დამადანაშაულა და მსაყვედურობდა“ (ბიჭი 12 წლის).

ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნებს ხშირად აქვთ კონფლიქტური გამოცდილება მშობლებთან. ეს კონფლიქტი მოიცავს როგორც ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას, ისე აკრძალვებს, დაძაბულ საუბრებსა და დაპირისპირებას:

„ადრე მე და მშობლებს პრობლემები გვექონდა უფრო, საერთოდ ვერ ვუგებდით ერთმანეთს. ერთხელ მამაჩემს ვუჩივლე კიდეც, იძალადა ჩემზე. მაშინდელთან შედარებით ახლა ძაან კაი ურთიერთობა გვაქ“ (ბიჭი, 14 წლის);

მშობელთან ურთიერთობის თავისებურებები და მოზარდის პრობლემური ქცევა

„ბავშვობაში მშობლებთანაც რთული ურთიერთობა მქონდა. მათაც ხშირად კონდათ კონფლიქტი, სულ ჩხუბობდნენ“ (ბიჭი, 15 წლის);

„ამჟამად მშობლებთან ნორმალური ურთიერთობა მაქ, ადრინდელთან შედარებაც არაა. ახლა უფრო ნორმალურად რეაგირებენ რაღაცეებზე, აღარაა ის ძველი ამბები რაც იყო. ფსიქოლოგთან სიარულმა კარგად იმოქმედა ჩემზეც და მშობლებზეც“ (ბიჭი, 14 წლის).

კვლევის ფარგლებში, ასევე, გამოვლინდა, რომ არასრულწლოვნებს მშობლებთან კონფლიქტი აქვთ არა მხოლოდ ქცევის, არამედ გარეგნობის გამო. რესპონდენტთა უმეტესობა გამოირჩევა არასტანდარტული გარეგნობით – ფერადი თმით, ტატუებით, პირსინგებით და ინდივიდუალური ჩაცმის სტილით. ეს ხშირად იწვევს მშობლებსა და ოჯახის სხვა წევრებში უკმაყოფილებას, რომელსაც თან ახლავს სიტყვიერი შეურაცხყოფა და აკრძალვები. შვილებს ადარებენ უსახლკაროებს ან ოჯახისთვის სირცხვილის მომტან პირებს:

„სულ ეპატაჟური სტილი მქონდა. ადრეც ხშირად ვიცვლიდი ჩაცმის სტილს. ნუ არ მოსწონდათ ეს ჩემებს, მიკრძალავდნენ კიდეც მაგრამ არ ჭრის ეგ“ (ბიჭი, 14 წლის);

„ბებიჩემი თითქმის ყოველ დღე მეუბნება რას გავხარო, მეზობლები რას ფიქრობენ ჩვენზე ღმერთმა იცისო და ასეთები რა“ (ბიჭი, 13 წლის).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტთა ოჯახებში გავრცელებულია არაეფექტური აღზრდის სტილი – ავტორიტარული, ლიბერალური და ინდიფერენტული, რაც ხშირად განსაზღვრავს მშობლებთან ურთიერთობის კონფლიქტურ და ემოციურად დისტანციურ ხასიათს. ბავშვები უპირატესად ერთ-ერთი მშობლის მიმართ ავლენენ ნდობას, უმეტესად მასთან, ვისგანაც მეტი ემპათია და ნაკლები კონტროლი ვლინდება. მშობლების დამოკიდებულება ხშირად ასახავს დისციპლინის ტრადიციულ, ზოგჯერ ძალადობრივ ფორმებს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს ემოციური რეგულაციისა და მხარდაჭერის განვითარებას. პრობლემების დამალვა, კომუნიკაციის ნაკლებობა და გარეგნობის გამო კრიტიკა ქმნის არასტაბილურ ფსიქოსოციალურ ფონს, რომელიც ხელს უწყობს რისკიანი ქცევის გაღრმავებას და თავდაცვის მექანიზმების ფორმირებას, მშობლების მიმართ უნდობლობის ფონზე.

4.2. რთული ქცევის ფაქტორები და მართვის სტრატეგიები: მშობელთა პერსპექტივა

ინტერვიუებისას მშობლებს ვკითხეთ, რას მიიჩნევენ შვილების ქცევაში „რთულად“. გამოიკვეთა, რომ მშობლების ნაწილმა ადეკვატურად შეაფასა ქცევის სირთულე და აღწერა ისეთი ფორმები, როგორიცაა ქურდობა, სუიციდის მცდელობა, თვითდაზიანება, კონფლიქტები თანატოლებსა და მასწავლებლებთან, ფსიქოპათიური ნივთიერებების მოხმარება. მშობლების გამოცდილებით, ქცევის სირთულე ინდივიდუალურად ვლინდებოდა: ზოგის შემთხვევაში გარდატეხის პერიოდში, სხვებთან კი – უფრო ადრე.

„მე ვფიქრობ, რომ ზოგადად, რთული ქცევა არის ის ქცევა რომელიც როგორც საკუთარ თავს, ასევე სხვასაც აზიანებს. ჩემი შვილის შემთხვევაში ეს არის სასამელის ნაადრევ ასაკში მოხმარება, თამბაქოს და ნივთიერებების მოწევა, სკოლის გაცდენა, გაურკვეველი წარმომავლობის სამეგობრო წრის შექმნა. თავდაპირველად რთული ქცევა შევნიშნე ალბათ უფრო პანდემიის პერიოდში, თან გარდატეხის ასაკს დაემთხვა“ (დედა);

„9 წლის იყვნენ პირველად რომ შევნიშნე. რთული ქცევა ისაა, რომ იპარავენ. სახლიდან მიდიან და რამდენიმე დღე არ მოდიან“ (დედა);

„ვფიქრობ ისაა რთული ქცევა, რომ იპარავს ხშირად, სულ პოლიციაში ვართ გამოკითხვებზე. სახლიდან გადის და ხან რამდენიმე დღე არ მოდის ან ძაან გვიან მოდის. არასდროს არ ვიცი სადაა, არ პასუხობს ტელეფონსაც“ (დედა);

„მისი რთული ქცევა ისაა, რომ კონფლიქტი აქვს მასწავლებლებთან, ჩხუბი მოუვიდა ბავშვებთან“ (მამა).

მიუხედავად ამისა, რამდენიმე მშობელი ქცევის სირთულეს ვერ აცნობიერებდა და მას ბავშვურ სიცლქეს ან ასაკობრივ თავისებურებებს უკავშირებდა:

„მე არ ვთვლი, რომ რთული ქცევის ბავშვია, უბრალოდ ცელქი ბავშვია. ამის გამო ექმნება პრობლემები“ (დედა);

„ეს არის უბრალოდ მისი ასაკისთვის დამახასიათებელი. რაღაცა პერიოდის მერე თავისით დალაგდება“ (მამა);

რთული ქცევის მიზეზების შესახებ მშობლების ნარატივები მრავალფეროვანია. ზოგს საკუთარ პასუხისმგებლობად მიაჩნია მშობლის არყოფნა ბავშვის აღზრდის პროცესში, ზოგიც გარემო ფაქტორებსა და ბავშვის პიროვნულ მახასიათებლებზე ამახვილებს ყურადღებას. ასევე, დასახელდა ორივე მშობლის მხრიდან ყურადღების ნაკლებობა, მამის ფიგურის არყოფნა ან კრიმინალურ გარემოსთან დაკავშირება, რაც შვილზე ნეგატიურ გავლენას ახდენდა. მშობლები მიუთითებდნენ ოჯახში აღზრდის მეთოდების განსხვავებულობაზე (მაგალითად, დედის თბილი მიდგომა და მამის ძალადობრივი ქცევა), რამაც, ასევე, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მოზარდის ქცევის ფორმირებაზე.

„ზოგადად რთული ქცევა ვფიქრობ, რომ გამოიწვია გარემომ და მისმა ხასიათმა, ორივემ ერთად... ასევე გულისტკენები იმაზე, რომ მამა არ ყავს მას... მისი მდგომარეობა ჩემი მეორე ქორწინების მერე უფრო გართულდა, რადგან სულ კონფლიქტები ჰქონდათ“ (დედა);

„პირველ რიგში, ვფიქრობ, რომ მე ახლოს რომ არ ვიყავი ბავშვებთან, არც მამა არ იყო, ამან გამოიწვია... მართალია ვყიდულობდი ყველაფერს, მაგრამ სხვანაირი ყურადღება არ ჰქონდათ“ (დედა);

„მგონია რომ სამეგობრო წრემ... იმ დროს ისეთ ბავშვებს დაუმეგობრდა, რომლებსაც არ ჰქონდათ კარგი ქცევები“ (მამა);

„პერიოდულად აქვს ხოლმე ესეთი გამოვლინება, რომ თუ ის ცუდად გრძნობს თავს, ეს ყველაფერი არის ჩვენი დამსახურება“ (დედა).

ზოგიერთი მშობელი მიზეზის დასახელებაში გაურკვეველია ან ქცევას ტექნოლოგიების გამოყენებას უკავშირებს:

*„ვერ ვხვდები ნამდვილად რატომ იქცევა ასე და რას შეიძლება გამოენჯია“ (მამა);
„მისი რთული ქცევა ვფიქრობ ტელეფონის ხშირმა გამოყენებამ გამოიწვია“ (დედა).*

მშობლების ნაწილმა ყურადღება გაამახვილა ქცევის შემანარჩუნებელ ფაქტორებზე, კერძოდ, ოჯახურ არასტაბილურობაზე, უარყოფით სამეგობრო წრეზე, არასრულწლოვანის ასაკობრივ თუ პიროვნულ თავისებურებებზე.

რთული ქცევის მართვის სტრატეგიებთან მიმართებით, გამოიკვეთა, რომ წარსულში მშობლები, ძირითადად, მიმართავდნენ ძალადობრივ და სადამსჯელო სტრატეგიებს – ფიზიკური ძალადობა, მუქარა, შეურაცხყოფა, რაც, როგორც თავადვე აღიარებენ, არაეფექტიანი აღმოჩნდა და ურთიერთობა კიდევ უფრო გაართულა. ამჟამად კი, ცდილობენ შეცვალონ მიდგომები და დაეყრდნონ სპეციალისტების რჩევებს.

„აღრე ვყვიროდი, ვჩხუბობდი, გამილახია კიდეც... ახლა პირიქით ვცდილობ მხარში დავუდგე და თავს ვუხრი. თბილად ვექცევი... მეშინია რამე ისეთი კიდე არ გააკეთოს“ (დედა);

„ერთხელ ამ ქცევების გამო ვცემე კიდეც... ახლა შედარებით არის დადებითი ცვლილება, ვცდილობ ახსნით და მშვიდი ლაპარაკით გავაგებინო“ (დედა).

ზოგიერთი მშობელი შვილისთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარებასა და დიალოგზე დაფუძნებულ მიდგომას უფრო ეფექტურად მიიჩნევს:

„ბოლო დროს გვექონდა საუბარი, რომ მეც პატარა ვიყავი როცა დედა გავხდი... ყველანაირი გზა მიცდია, რომ რაღაცეები დაენახა“ (დედა);

„ვცდილობ რომ გავაზრებინო რასაც აკეთებს რას ნიშნავს. ჩხუბით და ყვირილით არ გამოვა“ (მამა);

„როცა რაიმეს აკეთებს, უპირატესობას პირველ რიგში საუბარს ვანიჭებ... მაგრამ ბავშვს რასაც უკრძალავ, იმას უფრო აკეთებს“ (დედა).

ინტერვიუებისას, ასევე, გამოიკვეთა ოჯახური სისტემის გავლენა. ხშირია შემთხვევა, როცა მშობელი (ძირითადად დედა) მონყვეტილია აღზრდის პროცესზე კონტროლისგან ოჯახში არსებული კონფლიქტების, განსხვავებული შეხედულებებისა და ზეწოლის გამო.

„ცუდი ისაა რომ ამ მეთოდებში ბევრი ადამიანია ჩარეული – მე, ჩემი ქმარი, ბებია და ბაბუა... მე რომ ვცდილობ ახსნას, თხოვნას, ჩემი ქმარი ეჩხუბება... ბებია და ბაბუაც მასე... ხშირად მე მადანაშაულებენ“ (დედა).

შეჯამებისთვის, მშობლები რთულ ქცევად მიიჩნევენ ქურდობას, სახლიდან წასვლას, სუიციდისა და თვითდაზიანების მცდელობებს, კონფლიქტებსა და ნივთიერებების მოხმარებას, თუმცა ზოგიერთი მათგანი რთულ ქცევას ასაკობრივ სიცვლქეს უკავშირებს. მშობლები ქცევის მიზეზებად დასახელებენ როგორც პირად პასუხისმგებლობას – მათ შორის მშობლების ემოციურ დისტანციასა და მამის ფიგურის არყოფნას – ასევე, გარემო ფაქტორებს, არაჯანსაღ სამეგობრო წრეს, ტექნოლოგიებსა და

ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებს. ხშირად პრობლემის საფუძველი ოჯახური კონფლიქტები და აღზრდის სტილთა სხვაობებია.

წარსულში გავრცელებული ძალადობრივი და სადამსჯელო მიდგომები, მათი არა-ეფექტიანობის გაცნობიერების შემდეგ, დიალოგზე დაფუძნებულ სტრატეგიებად ჩამოყალიბდა, რაც სპეციალისტების ჩარევასთან არის დაკავშირებული. ასევე, გამოვლინდა ოჯახური სისტემის გავლენა – დედები ხშირად მოწყვეტილნი არიან აღზრდის პროცესს ოჯახის სხვა წევრთა ჩარევის და პოზიციური დაპირისპირების გამო.

4.3. მოზარდთა რეაქცია მშობელთა მიერ გამოყენებულ ქცევის მართვის სტრატეგიებზე

მოზარდთა რეაქცია მშობლების მხრიდან გამოყენებულ ქცევის მართვის მეთოდებზე განსხვავებულია. მშობლების მონათხრობიდან ირკვევა, რომ მოზარდთა უმეტესობა აგრესიულ მიდგომებზე ნეგატიურად რეაგირებს ან საერთოდ არ გამოხატავს რეაქციას, თუმცა ქცევას კვლავ აგრძელებს. პოზიტიური მიდგომების შემთხვევაში კი შვილების რეაქცია, როგორც წესი, დადებითია. მშობლების მკაცრი ან უგულვებელმყოფელი დამოკიდებულება კი ხშირად დაკავშირებულია დისტანცირებულ ურთიერთობასთან.

„როცა მშვიდად და წყნარად ვესაუბრები, უხარია და მოდის და მკოცნის; თუ პირიქით ვიქცევი, ბრაზდება, შეიძლება კარები მოაჯახუნოს და ოთახში შევიდეს. როცა დადებითისკენ ვცვლი ჩემს ქცევას, ბოლო დროს ვამჩნევ, რომ იმდენად ცუდი რაღაცეებისკენ აღარ მიიწევს“ (დედა);

„ვერ გაბედავს, რომ მე ასე პირდაპირ რამე მითხრას, მარა მეორე დღეს შეიძლება წავიდეს სახლიდან, რამდენიმე დღე არ მოვიდეს. მერე მიწევს, რომ მთელი ღრიალით და ამბებით მოვძებნო, სახლში დავაბრუნო და მერე ისევ იგივე წრეზე დავდივართ“ (მამა);

„როცა ვკამათობთ, ხშირად უნდა, რომ ჩემსკენაც წამოიწიოს ჩხუბის დროს, აგრესიული რეაქციები აქვს“ (დედა);

„ამ ეტაპზე ხშირად ვეღარ ვნახულობ და როცა ველაპარაკები, ვცდილობ გავიგო როგორ არის, სად არის და ვისთან ერთად არის. კიდევ ვეკითხები, რას აპირებს და რა გეგმები აქვს. ახლა ამბობს, რომ ეძებს სამსახურს და უნდა ცალკე გადასვლა. აღარ ვცდილობ ხელი შევუშალო, ვცდილობ დავაკვირდე და ვაცადო თვით-გამორკვევა. და იმედი მაქვს, რომ რაღაცნაირად მოახერხებს გადარჩენას“ (დედა).

4.4. ცვლილებების სურვილი

ინტერვიუების დასასრულს, ნაწილი მშობლებისა გამოხატავდა სურვილს, რომ წარსულში ზოგიერთი რამ სხვაგვარად წარემართა. ზოგიერთმა მათგანმა აღიარა საკუთარი ქცევის ნეგატიური ასპექტები და გამოხატა სურვილი, შვილი დამოუკიდებლად აღეზარდა ისე, რომ თავად დაედგინა აღზრდის სტილი და კომუნიკაციის ფორმა. ზოგი მშობელი ხაზს უსვამდა, რომ სურდა მეტი ყურადღება მიექცია შვილის ემოციურ თუ მატერიალურ საჭიროებებზე, რაც, მათი თქმით, ასაკობრივი სიმწიფის გამო ნაკლებად შესწევდათ.

ინტერვიუებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემად გამოიკვეთა საზოგადოებაში დამკვიდრებული სტიგმატიზებული დამოკიდებულება რთული ქცევის მქონე მოზარდებთან მიმართ. მშობლების თქმით, მათი შვილები ხშირად ხდებიან ცრუ ბრალდებულის, შეურაცხყოფისა და ძალადობის მსხვერპლი სრულიად უცნობი პირების მხრიდან.

„რა თქმა უნდა, ვისურვებდი ცვლილებებს. მაგალითად, უფრო დიდი რომ ვყოფილიყავი, ვიქნებოდი უფრო ორიენტირებული შვილზე. 19 წლის ვიყავი, ვსწავლობდი, თან ვმუშაობდი და ვერ ვხვდებოდი ბევრ რამეს, ჩამოუყალიბებელი ვიყავი. არ ვიდექი მყარად. უფრო მეტ დროს დავუთმობდი, რომ მერე უფრო მშვიდად ყოფილიყო თვითონ, მეტად ქონოდა დასაყრდენი“ (დედა);

„კონფლიქტი მოუვიდა ბუფეტის გამყიდველთან და გამყიდველმა უთხრა: 'შე, ქუჩაში გაზრდილოო, და მერე ამანაც აგრესიით უპასუხა. რახან ჩემი შვილი ცენტრში დადის, არაა ქუჩაში გაზრდილი. ქუჩაში რომ არ იყოს, იმიტოა ზუსტად იქ. იქ ათასი წრეა, მთელი დღე დაკავებულია“ (დედა).

5. დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე ნაშრომის დასაწყისში განვიხილეთ პოზიტიური მშობლობის ორი ძირითადი ასპექტი – უპირობო მიმღებლობა და პოზიტიური დისციპლინა, როგორც მოზარდის პრობლემური ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორები. კვლევის შედეგებმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა ამ ორი კომპონენტის გადამწყვეტი მნიშვნელობა. დედის მხრიდან უპირობო მიმღებლობა ქმნის უსაფრთხო ემოციურ გარემოს, აძლიერებს ნდობას და ხელს უწყობს მოზარდის ღიაობასა და ადეკვატურ თვითშეფასებას. მამის მხრიდან პოზიტიური დისციპლინა კი წარმოადგენს იმ ბალანსის შენარჩუნების საშუალებას, რომელიც მოიცავს საზღვრებს, თანაგრძნობას და მოზარდის ჩართულობას გადანწყვეტილებებში.

კვლევის შედეგების მიხედვით, პრობლემური ქცევის მქონე მოზარდების ოჯახებში ხშირია არაადაპტური აღზრდის სტილი, მათ შორის ავტორიტარული, ლიბერალური და ინდიფერენტული. თითოეული სტილი, თავისი თავისებურებებით, ვერ უმკლავდება გამოწვევას ბავშვის ემოციურ რეგულაციაზე, თვითშეფასებასა და ჯანსაღ ურთიერთობებზე ზრუნვის შესახებ. ავტორიტარული მიდგომა, რომელიც კონტროლსა და შიშზეა დაფუძნებული, მნიშვნელოვნად აზიანებს ურთიერთობას და ხშირად აღძრავს მოზარდებში პროტესტს, დისტანცირებასა და უნდობლობას. ლიბერალური ან ინდიფერენტული სტილი კი იწვევს საზღვრების გაურკვევლობას და აკლებს მოზარდს გარე საზრისულ ჩარჩოს, რაც განსაკუთრებით პრობლემურია მაღალი რისკის ქცევის პრევენციის თვალსაზრისით.

ინტერვიუებმა, ასევე, ცხადად აჩვენა, რომ მშობლებს შორის განსხვავებული მიდგომები – ერთი მშობლის მკაცრი და მეორე მშობლის ლმობიერი დამოკიდებულება – ქმნის დისბალანსს და არღვევს მშობლის ფიგურის თანმიმდევრულ აღქმას ბავშვის თვალში. შედეგად, მოზარდი ერთ მშობელს აღიქვამს როგორც „დამხმარეს“ ან „მეგობარს“, ხოლო მეორეს, როგორც კონტროლის, დასჯის ან აკრძალვის წყაროს. ბავშვები ხშირად, სწორედ იმ მშობელს უზიარებენ პრობლემებს, ვინც ნაკლებად კრიტიკული

და მეტად ემპათიურია. ამას ემატება, ზოგიერთ შემთხვევაში, ძალადობის გამოცდილება და/ან გარეგნობის გამო სტიგმატიზაცია, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მშობლებსა და შვილებს შორის დაპირისპირებას.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვების ნაწილი არცერთ მშობელს არ ანდობს საკუთარ განცდებსა და პრობლემებს. რადგან, შესაძლოა „დასმენად“ აღიქვამს მსგავს კომუნიკაციას, ან მშობლის ემოციურ რეაქციებს უფრო თხილდება, ან უკვე დაბალი მოლოდინი აქვს მათგან მხარდაჭერის მიღების თაობაზე. ეს ურთიერთობები მიუთითებს იმაზე, რომ კომუნიკაციური სივრცე ხშირად არ არის უსაფრთხო და ბავშვის პერსპექტივა უგულვებელყოფილია.

მშობლების მიერ შვილების რთული ქცევის აღქმა სხვადასხვაგვარია. ზოგმა მშობელმა აღწერა სერიოზული პრობლემები (ქურდობა, თვითდაზიანება, სუბსტანციური ნივთიერებების მოხმარება), თუმცა სხვები მსგავს ქცევებს ჯერ კიდევ სიცელქეს უკავშირებენ. ეს მიუთითებს მშობელთა მხრიდან პრობლემის მასშტაბის განსხვავებულ აღქმასა და მისი ადეკვატური შეფასების საჭიროებაზე.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ფსიქოკონსულტირების სფეროს წარმომადგენელთათვის, შესაძლებელია ზოგიერთი რეკომენდაციის ფორმულირება, რომლებიც მიზნად ისახავს მშობლისა და ბავშვის ურთიერთობის გაჯანსაღებას და ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მოზარდი თავს უსაფრთხოდ და გაგებულად იგრძნობს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოზიტიური დისციპლინისა და უპირობო მიმღებლობის განვითარებას მშობელთა პრაქტიკაში. ფსიქოკონსულტაციის პროცესში მიზანმიმართულად უნდა მოხდეს როგორც ემოციური მიმღებლობის, ასევე თანმიმდევრული და პოზიტიური დისციპლინის უნარების განმტკიცება, რადგან მათი სინთეზი წარმოადგენს ბავშვის განვითარებისათვის ყველაზე მხარდამჭერ გარემოს.

პრობლემური ქცევის მქონე მოზარდების მშობლებთან მუშაობის პროცესში ფსიქოკონსულტანტებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ, რათა დაეხმარონ მშობლებს გააცნობიერონ, რომ უკიდურესად ავტორიტარული ან, პირიქით, ლიბერალური აღზრდის სტილი ზიანს აყენებს ბავშვის ემოციურ და სოციალურ განვითარებას. მნიშვნელოვანია მხარდაჭერა ავტორიტეტულ სტილზე გადასვლისთვის, სადაც მკაფიო საზღვრებს აბალანსებს ემპათიური დამოკიდებულება. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მშობლების კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობას, რაც მოიცავს აქტიურ მოსმენას, ემპათიურ გამოხმაურებას და არაგანსჯით მიდგომებს. ასეთი მიდგომა ქმნის ბავშვისთვის უსაფრთხო და გამბედაობის აღმძრავ კომუნიკაციურ გარემოს, სადაც შესაძლებელია პრობლემების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიკაცია და მათი დაძლევა.

ფსიქოკონსულტირების სფეროს სამუშაო, ასევე, მიმართული უნდა იყოს ემოციური რეგულაციის უნარების გაძლიერებაზე არა მხოლოდ მოზარდებთან, არამედ მშობლებთანაც. მნიშვნელოვანია მშობლების მხარდაჭერა იმის გაცნობიერებაში, თუ როგორ მართონ საკუთარი ემოციები კონფლიქტურ სიტუაციებში და როგორ განახორციელონ ქცევა, რომელიც ბავშვის პოზიტიურ განვითარებას შეუწყობს ხელს. ასევე მნიშვნელოვანია, მშობლებს ჰქონდეთ ინფორმაცია იდენტობის ძიების პროცესში მოზარდის გარეგნობის ცვლილებების ნორმალურობაზე და სტიგმატიზაციისა თუ

აკრძალვების ზიანის შესახებ. გარდა ამისა, კონსულტაციები უნდა დაეთმოს მშობლებს შორის აღზრდის მიდგომების თანხვედრის ხელშეწყობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტაბილური და თანმიმდევრული გარემო ოჯახში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუშაობა იმ მშობლებთან, რომლებიც მოზარდთა ქცევითი სირთულეების მინიმიზაციას ახდენენ, რადგან მათი ინფორმირებულობა კრიტიკულია პრობლემის გრძელვადიანი შედეგების პრევენციის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

- Center for Referral of Juveniles. (2024). არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის სტატისტიკური მონაცემები. <https://cpp.gov.ge/ka/arasrultslovanta-referirebis-tsentr>
- Gagoshidze, T. (2021). გარდატეხის ასაკი (11–18 წლის მოზარდის ასაკობრივი განვითარება): მშობლის მეგზური. <https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/mar/readers/gagoshidze-gardatexis.pdf>
- Ary, D. V., Duncan, T. E., Duncan, S. C., & Hops, H. (1999). Adolescent problem behavior: The influence of parents and peers. *Behaviour Research and Therapy*, 37(3), 217–230.
- Baumrind, D. (1971). Current patterns of parental authority. *Developmental Psychology*, 4(1, Pt. 2), 1–103.
- Baumrind, D. (1991). The influence of parenting style on adolescent competence and substance use. *Journal of Early Adolescence*, 11, 56–95.
- Baumrind, D., Lazelere, R. E., & Owens, E. B. (2010). Effects of preschool parents' power assertive patterns and practices on adolescent development. *Parenting: Science and Practice*, 10, 157–201.
- Berger, K. S. (2018). *The developing person through childhood and adolescence*. Worth Publishers.
- Chambers, J., Power, K., Loucks, N., & Swanson, V. (2001). The interaction of perceived maternal and paternal parenting style and their relation with the psychological distress and offending characteristics of incarcerated young offenders. *Journal of Adolescence*, 24, 209–227.
- Coatsworth, J. D., Duncan, L. G., Nix, R. L., & Demi, M. A. (2015). Integrating mindfulness with parent training: Effects of the mindfulness-enhanced strengthening families program. *Developmental Psychology*, 51(1), 26–35.
- Dreikurs, R. (1999). *Discipline without tears: A reassuring and practical guide to teach your child positive behavior*.
- Gorrese, A., & Ruggieri, R. (2012). Peer attachment: A meta-analytic review of gender and age differences and associations with parent attachment. *Journal of Youth and Adolescence*, 41(5), 650–672.
- Hoeve, M., Blokland, A., Dubas, J. S., & Loeber, R. (2011). Trajectories of delinquency and parenting styles. *Journal of Abnormal Child Psychology*, 39(5), 679–692.
- Hoeve, M., Dubas, J. S., Eichelsheim, V. I., & Gerris, J. R. M. (2009). The relationship between parenting and delinquency: A meta-analysis. *Journal of Abnormal Child Psychology*, 37(6), 749–775.

- Jessor, R. (1991). Risk behavior in adolescence: A psychosocial framework for understanding and action. *Journal of Adolescent Health*, 12, 597–605.
- Kaufman, D., & Gaston, E. (2000). The relationship between parenting style and children's adjustment: The parents' perspective. *Journal of Child and Family Studies*, 9, 231–245.
- Kaufman, T. M. L., Kretschmer, T., Huitsing, G., & Veenstra, R. (2020). Explaining bidirectional spillover between parent–child relationships and peer victimization. *Development and Psychopathology*, 32(1), 11–20.
- Khaleque, A. (2013). Perceived parental warmth, children's psychological adjustment, and personality dispositions: A meta-analysis. *Journal of Child and Family Studies*, 22(2), 297–306.
- Milevsky, A., Schlechter, M. J., Netter, S. A., & Keehn, D. (2007). Maternal and paternal parenting styles in adolescents: Associations with self-esteem, depression, and life satisfaction. *Journal of Child and Family Studies*, 16(1), 39–47.
- Nelsen, J. (1981). Positive discipline. <https://www.positivediscipline.com/>
- Rohner, R. P. (1986). *The warmth dimension: Foundations of parental acceptance–rejection theory*. Sage Publications.
- Rogers, C. R. (1956). *Client-centered therapy* (3rd ed.). Houghton-Mifflin.